


ვალატტიონ ტაბიძე

პარლამენტის პარლამული ბიბლიოთეკა



K 66.308/3

მაძულო  
სიყოცხლო



899.9621

8-154



გალაქიონ ვაბიძე

# მამულა, სოცოცხლეო

~~ბ-2.823~~

კ 06.500  
3

ბ-1034

საქმე-2000  
0002-2027

საქმე-2000  
0002-2027

ს ა ხ ე ლ ვ ა მ ი  
თბილისი  
1943

## ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ოგს ჩაის ვარდი, ზოგს — კინოვარი,  
 ზოგს ოქრომკედით მონაქსოვარი,  
 სურათი რამე, კარგზე მგლოვარი —  
 ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

ბარათი, სისხლის ცრემლ-ნატოვარი,  
 ბეჭედი, ძვირფას ალთა მთოვარი,  
 საყურე, ტკბილის ჩრდილის მთხოვარი —  
 ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

თმა, როგორც განძი ძნელსაშოვარი,  
 წიგნი რამ, ომით მონაპოვარი,  
 საფერფლე, მამის დანატოვარი —  
 ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

შენი, სამშობლოც, მსასოვარი,  
 ჰა, ჩემი ჩანგი სწორუპოვარი,  
 ჰა, ჩემი გულიც, რადგან მგზოვარი  
 ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

მშობლიურო ჩემო მიწავ



ამი დიდი ოკეანე  
 გარე უვლის ნათელ მხარეს,  
 მთვარიანი და მზიანი  
 ზეცა აფრქვევს სიანკარეს.  
 ორ ზღვას შუა ძველის-ძველად  
 საომარი იყო ლელო.

ის გადარჩა-და სახელად  
 ეწოდება — საქართველო.

მშობლიურო ჩემო მიწავ,  
 შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,  
 რომ დავიცავ შენს სიმაღლეს,  
 წინაპართა ძეგლებს დავიცავ!

მიყვარს კავკასიის ქედი,  
 ეს ამერი და იმერი,  
 მისი „ხელი ხმაღს იკარ“ და  
 მისი „მრავალ-ჟამიერი“.

მიყვარს, მრავალ ჭირნახული  
 ის გურია და სვანეთი,  
 თუში, ფშავი და ხევსური,  
 აჭარა და თრიალეთი.

მშობლიურო ჩემო მიწავ,  
 შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,  
 რომ დავიცავ შენს უფლებას,  
 შენს უფლებას სისხლით ვიცავ!

აღმოსავლეთ-დასავლეთის  
გზა მიხვეულ-მოხვეული,  
ხმა მეგრული, აფხაზური,  
ლაზური და მოხეური.  
რამდენ ძარცვას, რამდენ რბევას,  
გადაურჩა ქართლ-კახეთი!  
შორით რაჭა-ლეჩხუმია,  
ახლო მესხეთ-ჯავახეთი.  
მშობლიურო ჩემო მიწავ,  
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,  
რომ დავიცავ შენს ტკბილ ენას,  
შენს მშვენიერ ჩანგს დავიცავ.

აგერ წინამძღვრიანთ-კარის  
ქარი არხევს ზვარის სამოსს  
და ხვერდი სავსე მთვარის  
მოჭყენია საგურამოს.

მეცხრამეტე საუკუნე!  
გვეგებება ოხვრა კაკლის.  
ახალგაზრდა გოლიათი  
ეხლა ავსებს ამ დანაკლისს.  
მშობლიურო ჩემო მიწავ,  
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,  
რომ დავიცავ შენ სიმაღლეს,  
შენს მშვენიერ ჩანგს დავიცავ.

დიდი გზებით მიდის ძველთა  
დიდება თუ დამარცხება.  
გადმოგვეყურებს ზაჭისის მზე  
და არაფიცი არა ცხრება.  
მშობლიურო ჩემო მიწავ,  
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,  
რომ დავიცავ შენს სინათლეს,  
სისხლით ნაპოვნ გზებს დავიცავ.

მიწა, სადაც ვხნავთ და ვთესავთ,  
მოკირწყლული იყო ძვლებით,  
მოლაღადე უკეთესად,  
ვინემ უსახელო წლები.

იმ წარსულთან რა ძლიერი  
 ანათებს აქ დროის თვალი,  
 რა რიგად სჩანს მშვენიერი  
 საქართველოს მომავალი!  
 მშობლიურო ჩემო მიწავ,  
 შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,  
 რომ დავიცავ იმ მომავლეს,  
 იმ მომავლის მზეს დავიცავ.

და ხმალივით ბასრ იღვას  
 საქართველოს ახალ ხანის,  
 ჰგავდეს რკინის ნებისყოფა  
 თვითეული ჩვენთაგანის.  
 გამარჯვების გზებით მიდის  
 თვითეული დღე ფრთამალი,  
 რომ არ სჩანდეს კვლავ იმ დიდი  
 სიდუხჭირის ნატამალი.  
 მშობლიურო ჩემო მიწავ,  
 შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,  
 რომ დავიცავ შენს მიღწევებს—  
 შენი დროშის ფერს დავიცავ!

როსმე მეფე ფარნაოზი  
 იგონებდა ქართულ ანბანს  
 და წიგნები მოგვითხრობენ  
 გარდასულთა დროთა ამბავს.  
 მიყვარს ძველი წიგნების შლა,  
 მშვენიერი ძველი ენა,  
 სული ქართლის ცხოვრებისა,  
 რუსთაველის აღმაფრენა.  
 მშობლიურო ჩემო მიწავ,  
 შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,  
 რომ დავიცავ უძველეს განძს,  
 იმ უძველეს წიგნს დავიცავ.

მიყვარს ძველი წიგნების შლა,  
 მშვენიერი ძველი ენა.  
 კიდევ რაც ამ ოციწელის  
 გაიშალა აღმაფრენა,—

რაც ამბავი მოფენილა,  
 რაც ამბავი აწყობილა —  
 სხვა — მეოცე საუკუნე —  
 არასოდეს არ ყოფილა.  
 მშობლიურო ჩემო მიწავ,  
 შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,  
 რომ დავიცავ შენს ახალ გზებს,  
 შენს უახლეს წიგნს დავიცავ.

ეხლა ვერვინ ვეღარ გეტყვის,  
 საქართველო ნაწამებო,  
 იმერეთი ქართლს განუდგა,  
 საკუთარი სურს სამეფო.  
 ვერ წამოვა თემურ-ლენგის  
 იმნაირი ხმა და ზახი,  
 თბილისს ტახი რომ არბევდა —  
 ჯალალ-ედინ-ხორეზმ-შაჰი.  
 მშობლიურო ჩემო მიწავ,  
 შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,  
 რომ დავიცავ შენს მშვიდობას,  
 შენს გატანის ძარღვს დავიცავ.

ქარმა მიანგრ-მოანგრია  
 ძველი ქვეყნის საბუდარი —  
 და გვაქვს უბედნიერესი  
 ჩვენი მხარე — საკუთარი.  
 მშობლიურო ჩემო მიწავ,  
 შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,  
 რომ დავიცავ ხალხთა ძმობას,  
 მეგობრობის ფიცს დავიცავ.

თუ მრავალგზის დანგრეული  
 დღეს ძლიერი გახდა მხარე  
 და მოედო სოფელს, ქალაქს  
 განახლების ნიაღვარი,  
 თუ გრიგალი მშენებლობის  
 ამეტყველებს თვით ქვა-ლოდებს —  
 ეგ მისთვის, რომ ჩვენ სტალინი  
 ახალ გზისკენ მოგვიწოდებს.

მშობლიურო ჩემო მიწავ,  
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,  
რომ დავიცავ შენს მიღწევებს,  
შენი დროშის ფერს დავიცავ!

თუ ბუნების მოკვდავ კაცებს  
გვიერთდება აღტაცება,  
გვეუბნება, გაგვიტაცებს  
მომავალის დიდი მცნება,  
თუ ყოველი ახალი დღე —  
ახალ სიმაგრეებს აგებს,  
ეგ მისთვის, რომ ჩვენ სტალინი  
მუდამ წინ სვლას გვიქადაგებს.

ჩვენი ქვეყნის მომავალი  
საგანია ჩვენი ზრუნვის,  
შენ შესძელი დაფასება  
ჩვენი მძლავრი საუკუნის,  
გაიარე სევდის მგვრელი  
გზათა სივრცე და საზღვარი,  
გადალახე ღამე ბნელი  
და ბურუსი ყოველგვარი.

მშობლიურო ჩემო მიწავ,  
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,  
გიცავდი და გიცავ მარად,  
გიცავდი და კვლავ დაგიცავ!





## მთის გულისცემა



უ მიაყურებ დუმბილს ღამისას  
და მახვილ სმენის შეგწევს უნარი—  
მოისმენ გულისცემას ამ მთისას:  
ის კრთის, იღუმალ-მოგუგუნარი.

გამიგონია, რომ ამირანი  
გაბედვისათვის მისცენ წამებას,  
ფლობდა სიბნელე გულგამგმირავი  
მის გათენებას და შეღამებას.  
ადამიანებს მოსწყვიტეს ის, ვის  
ასე უყვარდა ადამიანი,  
ვერ შეეხედა ელვარე მზისთვის,  
კლდე იყო ცივი და ნამიანი.  
თოვლის ნამქერი, წვიმა და ქარი  
გარე უვლიდენ ველურ კივილით,  
საუკუნეთა ურიცხვი ჯარი  
მის წინ ვილოდნენ ასეთ ტკივილით.  
თუმც გულს უწეწდა ყორნების გუნდი,  
დღე ღამეს ცვლიდა და ღამე დღესა,  
გმირმა იცოდა—რა არის ხუნდი,  
და არ იცოდა—რა არის კენესა.  
წლიდან წლით იგი არყევდა პალოს,  
და ყოველ ასი წლის დასასრულზე  
ღამის მოგლიჯოს, ღამის დასძალოს,  
ღამის სურვილი გმირის ასრულდეს.  
ყოველთვის, მაშინ, ხმადამცინველი  
კავკასიის მთის კლდე-ფრიალოზე

მოფრინდებოდა შავი ფრინველი,  
და დაიწყებდა ფრთებს ამ პალოზე.  
მოსწევდა გმირი უროს საძალოს—  
მაგრამ ფრინველი უცებ სხლტებოდა:  
ურო სიძიმით წვდებოდა პალოს,  
და პალო ისევ გამაგრდებოდა.  
და ერთხელ ფრინველს დაუწყვდა ფრთანი,  
დააკვდა პალოს. და აი, ბოლოს,  
თავისუფალი სდგას ამირანი,  
და აწ ვერაგინ ვერ დაიმონოს.  
თუ მიაყურებ დუმილს ღამისას  
და მახვილ სმენის შეგწევს უნარი—  
მოისმენ გულისცემას ამ მთისას:  
ის კრთის, იღუმალ-მოგუგუნარი.



გმირს გაუმარჯოს



იიღე, პირველ ყოვლისა,  
ჩვენი მხურვალე სალამი,  
გრძნობა სანშობლოს მოვლისა  
დროშაა სისხლით ნალამი.

თავრიდის მზიან კიდეზე,  
ვით მარგალიტი ობოლი —  
ბევრის მომსწრე და ამტანი  
ელვარებს სევასტოპოლი.  
ბევრი კარგი დრო, ძველი დრო —  
მის კიდეს მიტარებია,  
რაც მძულდა და რაც მიყვარდა  
სულ იმ ზღვას მიდარებია:  
ჩემი ცხოვრებაც მას ჰგავდა,  
ხან მშვიდი და ხან მქუხარე,  
ხან მოელვარე მასავით,  
ხან მგზნებარე და მღუღარე.  
ეჰ, ჩემო ურჩო ცხოვრებავ,  
აღტაცებულო ყოფნითა,  
სიმშვიდეთ, ასაღლეგებლად  
რა მცირე რამე გყოფნიდა:  
შორს — სადღაც — იალქანია —  
ახლო გემები... თოღია.  
ზღვა ლურჯად გადაფენილა,  
ცა ლურჯად გადასწოლია.  
შემდეგ უეცრად ტალღები  
და მოვარდნილი გრიგალი,  
ცასაც ჩაუცვამს თალხები  
ტყვიისფრად ჩანარიგალი.

ნაპირთან გადატყდომის დროს  
შრიალებს ანძა მალალი...  
ელვამ კვლავ უნდა იელვოს,  
გრგვინვამ ჰკრას მეხი ახალი.  
ტყე—ტყვიისფერი ნატბორის,  
გაქანებულად მგლოვარე,  
ხანდახან ღრუბელთა შორის  
გამონათებს მთოვარე  
და განათდება უეცრად  
გაოხრებული, პარტახი,  
უეზოოდ და უეწროდ  
ფიქრში გართული ჩარდახი—  
ისიც ძველ ომთა მნახველი,  
ძველი ამბების მთხრობელი—  
როგორ იბრძოდა გმირული  
ქალაქი სევასტოპოლი.  
და განათდება უეცრად—  
რომ სიხარულიც კიაფომს,  
და გემი „საქართველო“ კვლავ  
მქუხარე გრიგალს მიაპობს.  
ეხლაც იქ—გადატყდომისას—  
ფიქვი მეორე ქრიალებს,  
ცა ელვას ისერის წყრომისას,  
გრიგალი ისევ გრიალებს.  
ქუხილი გააქვთ ქვემეხებს,  
ტყვიამფრქვეველი კაკანებს,  
ქალაქზე ცეცხლის ალია  
და იმ ალს ქარი აქანებს.  
მრისხანე თვითმფრინავები  
ცას კიდით-კიდე ჰფენია,  
ზენიტით ჰორიზონტამდე  
გუგუნებს ომის გენია.  
გამბედაობა, მედგარი  
გამბედაობა! დღეს იგი  
საბჭოთა გმირში დულს—როგორც  
ძალღონით სავსე წესრიგი.  
წინ, გახოკიძე! დაჰკარი—  
სად გადავარდნა იწყება!

დაატრიალე თავარი —

თავდასხმა, თავდავიწყება!

ყოველი წუთი აქ უცდის

თავის უბადლო მეომარს,

მედგრად მოითხოვს სიზუსტეს

და დარტყმას თანაზომიერს.

დღეს—როგორც სახე კვეთილი,

თან მისდევს გრძნობა და გონი,

ლითონი გამოჰქედილი

ასე,—ესაა ლითონი.

შესძარ მტრის ბნელი საფარი

და ცხარე ბრძოლის სასწორი

შენთან ჰკვეთს წვათანაბარი

მომდევნო, ტოლი და სწორი.

ნაპერწყალთ ჩინჩხლიან ფრთებით

თუ დღე სცდის მაღლა ფრენასა,

ვინ მიჰყევს—დროგამოშვებით

გარე ფიქრების დენასა?

ანთებდეთ ცეცხლს არა—ხნობით,

არამედ მარად და მარად,

მიწოლით, თანდათანობით,

უშიშრად, თანაზიარად.

იფეთქე და იელვარე

ქვეყნიურ ღელვის მტარებლად,

მამულისათვის მღელვარეც,

დასცხე მტერს შეუწყნარებლად.

იელვე, ო, გულო ცხელო,

გზა გყვეს სიმედგრის ჟინისა,

სიმაგრე ხარ სასახელო

ძველთა უძველეს რკინისა.

იმ წინაპართა ხარ ხატი

და ჯაქვი განუწყვეტელი;

სიმტკიცის მარჯვე ოსტატი

და გამარჯვების მქედელი.

მცხეთა, ასპინძა, მუხრანი

შენის ცითაა ნაბური,

შენს ხმალთან გადააკინძა

მან ხმალი მამაპაპური.

გამბედაობას ძმებისას  
ჩვენი ხმაც მიეწლომების:  
გზა ცისკარს გამარჯვებისას!  
ძირს ბოროტება ომების!

მას გაუმარჯოს, ვის მძაფრი—  
ომი მიაჩნდეს ხალისად!.,  
გაუმარჯოს გმირს, უშიშარ  
მებრძოლს ბრწყინვალე ხვალისა!

გაუმარჯოს გმირს — სიკვდილთან  
მხნედ გამსწორებელს თვალისა—  
გმირს დღევანდელ დღის—და, დიად,  
ნათელი მომავალისა!



## ჩვენ გავიმარჯვებთ



ტერი კბილით ითხრის საფლავს. ჩვენმა დრომამ  
სამარადომ

მტერზე უნდა საბოლოოდ გაიმარჯვოს. აი რატომ:  
უხსოვარ ხნით მდინარეობს უსამართლო ძლიერება,

არის მხარე და მხარეობს... შეხედავ და... უცებ ჰქრება.

წილოსიდან ვიდრე ტიგრის და ეფრატის ზემო-კარის,  
ხმელთაშუა და შავი ზღვის პირად ფენილ შემოგარეს,  
ევრაზიის მხარეთ ოდენ ბუნებისგან ნაფერები,

სდგებოდენ და ეცემოდენ ძველი ხალხი და ერები.

სახელმწიფოთ მათ ნაქები ხსოვნანი სად იჩქარიან?

ის მდიდარი ქალაქები, ის ციხენი სად არიან?

სად არიან ის სარდალნი, მედროშენი ურიცხვ ჯარის,

ისტორიის სამართალი—გადამქრელი აქ სად არის?

მხარეებზე ძარცვით გავლით, მონურ შრომით ჭირთა მქმედი,

ბეგართა და ნადავლით მოპოებულ სიმდიდრეთი

ფარაონთა და მათ მოგვთა აწ რომელი შვენის ჩარჩო?

მეფე ისე როგორ მოჰკვდა, რომ ხსოვნაც კი აღარ დარჩა?

თუნდ აჩრდილი ჰპოეთ მისი, რომელს ერთდროს ერქვა მცველი.

სად შთაინთქა ის შემფისი, ის ქალაქი ძველის ძველი?

ბრწყინვალეობა და დიდება ქარვასლებით, კოშკით, ბალით —

აწ რისთვის არ იქვრიტება წარუშლელი სიამაყით?

ვერვინ ჰპოებს თვით ნანგრევებს, სივრცე არის ირგვლივ ფართო,

სძინავთ კორდებს, სძინავთ ხეებს. მიკიოტი ჰკივის მარტო...

აზიდულა ერთი პალმა და მძიმეა სუნთქვა მისი,

ამ მიდამოს მიესალმა დაეიწყება მარადისი.

სასახლეებს, მაღალ ტაძრებს, სად ექნებათ ალი ბრწყინვად,

ვერავენ ვერ მოისაზრებს, რომ აქ რამე იყო წინად.



ბაბილონის უწვდომელი, მიუღვამთა კედელთ რიგის  
 დარჩა თუნდა ქვა რომელი? აწ სადაა ნეტავ იგი?  
 მხოლოდ ზღაპრის, მხოლოდ ზღაპრის არაბულის დარჩა რკალი,  
 ამსახველი იმ სიმძაფრის, რომ აქ ჩადგა ქარიშხალი;  
 სად სიცოცხლის დულდა-ზეავი, მთელის გულით, მთელის ვნებით,  
 სად ჰყვოდა დრო, უკვდავი სიბრძნის ესდენ გატაცებით,  
 იმ ვნებით და მისწრაფებით გაიზიდა სხვა იარა;  
 აჩქარებით, აღქაფებით — ყველაფერმა ჩაიარა.  
 სად სიმდიდრემ აიყვანა მაღლა კენესა და ვაება,  
 სიბეჩავეს სად ქვეყანა სასიკვდილოდ გადაება,  
 სად მეფეთა უგონობა, სიხარბე და სისხლ-წყურვილი  
 იყო ოქრო და მონობა, ხოცვა-ჟლეტის მძლე სურვილი, —  
 იქ აწ შავი სიანს ხევები, სიბნელე თრთის უამურად,  
 ქონხეხები, ნანგრევები, მტვერი, მტვერი და ლამურა.  
 ვის ვასსალად არის ეხლა, გაბნეული ბზედ და ჩალად,  
 ვისაც ომი, რბევა, შეხლა, გარდუგალად ედო ვალად?  
 რას ჰფენს ჟამთა მკრთალი ვადა ისტორიას, ჩადრით ფარულს,  
 სხვა შეგნებას, სხვა ტროადას, იმ ტროადას ლეგენდარულს?  
 რა შეემთხვა ერთ კართაგანს, უალრესად მძლავრს და ზვიადს,  
 რომთან ქიშპში მყოფ კართაგენს, თვით იმ რომს ან ბიზანტიას?  
 და რამდენი მხარე მერე! რამდენს აღარ აქვს ხსოვნება.  
 სად გაჰქრა ის სიძლიერე, სიმშვენე და აზროვნება?  
 ყველაფერი შთანთქა ომმა. ის ძალაა. ის ღონეა.  
 სტალინიმა სთქვა, ბრწყინვალედ სთქვა, რომ ეს მგლური კანონია.  
 მეგობრებო! მეორდება ირონია ჟამთა დენის,  
 ეხლა იგი გზას შორდება, სადაც ტყეა კომპიენის.  
 და ჰიტლერი ასე წყრომით გამომქვრეტი წამწამებით  
 ანგრევს ქვეყნებს, შექმნილს შრომით, სისხლითა და გაწამებით,  
 აწ მოუნდა, ჩვენის შრომით, თავდადებით ანაგები  
 ცეცხლითა და მახვილითა მოსპოს დაბა-ქალაქები.  
 კვლავ საშინელ აფეთქების მწყურვალეა ძველი ჟანგი,  
 ცეცხლის, სისხლის ქებათქებით ჟღერს ტევტონის ურცხვი ჩანგი.  
 ვერა, ის ვერ გაიმარჯვებს. მთელის აზრით, მთელის გრძნობით,  
 საბჭოეთი ძლიერია ხალხთა ძმობა-მეგობრობით.  
 დაეჯახე უნდობარ მტერს, ხალხთა ღისხვა-ჟრიამულო,  
 რადგან სამართლიანია ჩვენი ომი სამამულო.  
 სამშობლოსთვის, სტალინისთვის სდგას მებრძოლი და პოეტი...  
 უშიშრად სდგას. აი რისთვის გაიმარჯვებს საბჭოეთი!




## ელგუჯას ღაბრუნება



აღის კარები ღია იყო;  
მაგრამ შეეჩერდი.  
მზე მალლით ჰფენდა არე-მარეს  
სუნთქვას საამურს.

ახლო, სულ ახლო მოისმოდა  
შესაცნობი ხმა:  
არაკრაკებდა ბავშვი-მწყემსი  
თავის სალამურს.  
სანატორიის წინ შეედექი:  
ამ უცხო ბალით  
ვინაც საყვარელ მიდამოზე  
თვალს შეაჩერებს,  
ის ხარბად სუნთქავს სუფთა ჰაერს,  
ფიქვებისა და  
მოთიბულ თივის სურნელებით  
გადმონაჩქერებს.  
უნდა გავნათლდეთ — გავიფიქრე —  
უნდა გავმრავლდეთ.  
მე ვიდექე მარტო, მე ვხარობდი,  
და მერე როგორ!  
როდესაც ჩემკენ მომავალი  
მოსჩანდა ბავშვი,  
ამღერებული, თმაბუჭუჭა  
პატარა გოგო —  
მისთვის ჰყვავიან ყვავილები  
ათასნაირნი,  
გულმხიარული ფრინველები  
მისთვის მღერიან;



13-2.823

X  
3-54

K 66.308  
3

მისთვის ელვარებს მზე კაშკაშა,  
მისთვის იცავენ  
სამშობლოს, ასე თავდადებით,  
მოსაზღვრები.

დეე, ძმობის და სიყვარულის  
სამფლობელოში—

მანაც-იყვავოს, იყოს ლალი  
და ბედნიერი.

აი, ეს გოგო. ჩემთან ახლო,  
ახლო მოვიდა:

რა ლამაზია, რა წარმტაცი  
და მშვენიერი.

იქნებ ის როსმე დაესიზმრა  
ოცნებას ჩემსას,

როს გაზაფხულის ღამე სივრცეს  
რიდებს ჰფენდა,

როცა ჰყვაოდნენ გაზაფხულის  
ცაცხვის ხეები —

და იადონი გულსაკლავად  
ვარდებში სტვენდა.

არა, არაა ეს ზმანება:  
სინამდვილეა,

ეს თმები, სახე. აი ბავშვმა  
რომ გაიბრწყინა —

ეს გამოხედვა რალაც ისე —  
ახლობელია,

მინახავს სადღაც და ოდესმე,  
დიდი ხნის წინად.

მაგრამ სად? როდის? რანაირად?  
ანუ რას ნიშნავს:

როგორ მეცნობა ეს ღიმილი  
და ეს თვალები,

ნათელი ცქერა, ბავშვის ბაგე  
აღერსიანი,

სუფთა, სპეტაკი, თეთრი შუბლის  
გამოალება!

როგორ მეცნობა ეს ნიკაპი  
და ვარდისფერი

19-1-19

ლაწეების ემზი, საამურად  
რომ მოისახა—  
სად, როდის ნახა ეს მოქნილი  
და მოხდენილი,  
ცქრიალა ბავშვი, თვალმა ჩემმა  
სად, როდის ნახა?  
„— შენა, გოგონა — ვეკითხები —  
აქაური ხარ?“  
„— არა! აქედან ჩვენი სახლი  
შორზე-შორვა.  
ამიერიდან კი აქა ვართ:  
ეს არის ჩვენი  
უფროს ექიმის, დედაჩემის,  
სანატორია.  
მამა ცოცხალი არ არისო,  
დიდი ხანია.  
იგი სხვებს ახსოვთ: მეომარი  
იყო ნამდვილი.  
მე არ მინახავს. ახლა, ძია,  
რა ხდება ფრონტზე?..“  
უეცრად მკითხავს გოგო წრფელი  
და გულახდილი.  
„მიამბეთ — რისთვის, რა საქმისთვის  
დაგაჯილდოვეს?...  
ზედვე გეტყობათ: გიბრძოლნიათ,  
ყოფილხართ გმირი...  
მამაჩემი კი, ვინ არ სცნობდა  
მამას გაბედულს —  
უფრო აღრინდელ ომის იყო  
რკინა, ქვიტკირი.  
ბევრი ქარცეცხლი იმ ხანებში  
გადუტანია,  
არ უღრკებოდა მტრების მიერ  
ატეხილ ქუხილს...“  
„— რა გვარი იყო მამაშენი—“  
ბავშვს ვეკითხები,  
მაგრამ გოგონამ ვერ მოასწრო  
ეთქვა პასუხი,

სალამოის მზე სუნთქვას ჰფენდა  
არეს — საამურს,  
როცა გაიღო სახლის კარი  
გადარაზული —  
ლანდივით ჩანდა აივანზე —  
მაღალ-მაღალი,  
ლამაზი, მეტად მოხდენილი  
უცნობი ქალი.  
„— აი, ეს არის ჩემი დედა“ —  
მშვიდ სიამაყის  
ფარული გრძნობით განაცხადა  
ბავშვმა უმაღლე. —  
აღელვებულმა — უმდაბლესად  
დაფუკარ თავი.  
„— დედა! ახალი ავადმყოფი  
მოვიდა ჩვენთან.“  
„— ძალიან კარგი; მაგრამ ეხლა  
უნდა დაგვეტოვო.  
წადი იმ ბაღში, შენ ხომ გიყვარს  
ყოფნა ფუტკრებთან?“ —  
ბავშვს არ უნდოდა კარგ უცნობთან  
კარგ ნაცნობობის  
ასე შეწყვეტა. იგი უცებ  
ძლიერ დაღონდა.  
როგორნაირი სინანულით  
მან შემომხედა!  
მაგრამ გოგონას უარისთქმის  
ნება არ ჰქონდა.  
კვლავ შემომხედა და წყნარად სთქვა:  
„— უფრო გულდასმით  
ვილაპარაკებთ შემდეგ დიდხანს...  
ასე არ არის?“ —  
თანხმობის ნიშნად მეგობრულად  
გაფულიმე მას,  
და ბავშვი მოსწყდა ადგილიდან —  
ვითარცა ქარი.  
დედას ღიმილი მოერია: —  
„სჩანს, დამეგობრდით!  
მთელი ქვეყანა მაინც მისი  
მეგობარია“.

ის განაგრძობდა გაღიმებას  
და ამ ღიმილში  
დავიწყებულმა ოცნებებმა  
რაღაც გარია.  
იღიმებოდა და თვალთაგან  
იფრქვეოდა მზე.  
ჰანგს აღვიძებდა, რომელიც მხნე  
და მზიანია,  
რაღაც ძველისძველს და მშვენიერს,  
დამატყვევებელს  
ის ანათებდა წარსულს, გამქრალს  
დიდი ხანია.  
„— ევა!“ — აღმოჩნდა მაშინ გულით.  
„ — ელგუჯა, შენა?“ —  
და ჩვენ მხურვალედ ჩამოვართვით  
ერთმანეთს ხელი.  
„ — გადმომისროლა ბედმა ასე...“  
„ — კეთილშობილად  
აწ მოქცეულა იგი ბედი —  
მუდამ ფიცხელი...“  
ამ დროს გამოჩნდა კვლავ გოგონა,  
აყვავებული  
ალუჩებისა და ვარდების  
მოჰფანტა ბლუჯა.  
„ — რა უნდა მეთქვა — განაცხადა —  
თქვენ მამაჩემის  
მკითხეთ სახელი. მას სახელად  
ერქვა: ელგუჯა“!..

მოაქვს საღამოს სურნელება  
ყვავილთა კონის.  
მაშ გამარჯვება — თეთრო შუბლო  
კავკასიონის!

## მშობლიური მოწოდებით



ვლავინდებურად ამოდის მზე  
და ისევ ჩადის —  
ჩასვლისას სივრცე ოქროვდება  
მთების ფერადის.

კვლავინდებურად უსაზღვრობის  
გზებით მავალი —  
ცაზე ენთება ვარსკვლავების  
რიცხვი მრავალი.  
ამოდის მთვარე და თავისი  
ცისფერი გზებით  
ვერცხლისფერ ნათელს მიმოავლებს  
მიდამოს გზნებით.  
სიზმრებში ხვეულს მეოცნებე  
მდინარის ველებს  
არაგვის ქარი საამურად  
აამეტყველებს.  
ვლიან ღრუბელნი. ეხლა მათში  
ისვენებს მკრთალი —  
თბილი წვიმები, ელვა, მეხი  
და ქარიშხალი.  
ღელავენ ველნი, ჯეჯილები  
და ყვავილნარი:  
ყვავილებს ოდნავ შეეხება —  
ბაგეზე ქარი —  
რათა აიღოს და გადასცეს  
მსუბუქი მტფერი —

წარმოშობათა საიდუმლო,  
ნაზი, ცისფერი —  
მარად უკვდავი სიყვარულის  
ოხვრა - სალამით,  
აყვავილების მომავალის  
ბედნიერ წამით.  
უცებ ცას შმაგი არყევს ქარი, —  
ღუშმანი მტერის  
და მას ხედება ხმა სახენიტო  
არტილერიის...  
შენ ხომ ამაყი ხარ, მებრძოლი,  
და ახალგაზრდა  
სისხლში ღელავენ ნაპერწკლები  
ქედმაღალ აზრთა.  
შენში მშობლიურ მოწოდების  
მოძრაობს ალი,  
გეხვევა ბრძოლა — როგორც ქარი,  
როგორც გრივალი.  
ბრძოლა — გაშლილი მთელ სივრცეზე,  
სასტიკი, მკვეთრი —  
ბრძოლა, მეტყველი ყოველ მეტრით  
და კილომეტრით:  
ვერ შესძლებს მტერი რომ ჩააქროს  
ანალის ალი —  
ვერ შესძლებს დასწვას ხალხთა აწმყო  
და მომავალი.  
ცეცხლად ღელავენ ნაპერწკლები  
მშობლიურ აზრთა...  
სამშობლოს იცავს დღეს მოხუცი  
და ახალგაზრდა.

---

## თავდაღებული მილიონები



ამშობლოსათვის თავდადების ღრონი მეფობენ!  
იგი გვეძახის, ბევრის მოწმე. ბევრის მგონები.  
სამშობლოსათვის ოცნებობდნენ და ოცნებობენ  
ადამიანთა პატიოსანთ მილიონები!

კავკასიონი ლაქვარდების მაღალ ცარცივით—  
მზეზე ელვარებს და ოცნებობს თავის არწივით—  
თან რგოლებს ხაზავს, და ტრიალებს ამაყად, ფართოდ.  
ის მეომრის ფიქრს მოუწოდებს ცად სანაღარდოდ.  
აიწვეს მაღლა, უფრო მაღლა, აჰა, ეშვება.  
კვლავ მილივლივებს, მაგრამ ღრუბლებს არ მოეშვება.  
დარწმუნებული სილაღეში, სიძლიერეში,  
სწორია მისი ფრთის სიმშვიდე თუ იერიში.  
ქვევით ქვემეხთა გრივალა. დასცხრენ სიონი—  
ქვეყნებს უსიერცოს გადასცქერის კავკასიონი.  
ხელავს: იბრძვიან მგზნებარენი რწმენით და თითქმის  
თვითონ სიკვდილის სიმძაფრეში შთაჰრილ გულისთქმის  
ძალით, სიცოცხლით, გატაცებით, მკლავით, გონებით—  
ადამიანთა მღელვარებენ მილიონები!  
ელვარებს ქურა. აქ მზადდება ისრები სხივის.  
აჩქარებული მონათება ალისფრად ღვივის.  
ძალას ეღრება თვით ზესთაზეს ცეცხლში ლიტონი.  
გავარვარებულ აგვისტოს მზეს აგავს ლითონი.  
შეიმოსება, აზღვავდება რკინის კონებით  
ადამიანთა თავდადებულთ მილიონები.  
ცეცხლით, მახვილით, რკინით მქმედი, მრავალის მგრძნობის,  
ჩვენს სამშობლოში სწყდება ბედი კაცობრიობის.  
აღსდგნენ მომხდურის წინააღმდეგ არა მონები—  
სამშობლოსათვის თავდადებულთ მილიონები!



გლეხი ნამგალით მკლავზე იწვეწს თავთავს მონაქუჩს.  
გაათრებული სცემს მშრომელი უმძიმეს ჩაქუჩს,  
რომ მეომართა გამოსჭედოს ხმალთა წკრიალი.  
„მუსრი მტარვალებს“! და ტანკების მიდის გრიალი.  
მოსიყვარულე, ხმამალალი, მძაფრი და მალი  
ხევიდან ხევზე მიგუგუნებს ძახილი: „სტალინი!“  
„სტალინი“ — გაისმის და იგი ხმა უსაზღვრო ნების  
ხმაა ქვეყნისთვის თავდადებულთ მილიონების!  
გმირებს ვერ ითვლის ჩვენი მხარე ურიცხვს და უღვეს,  
ისინი ჰქმნიან რომ არ ჰქმნილა იმ სასწაულებს —  
გზებს რომ ჰკაფავენ ნარ-ეკლიანს, ახშობენ ოდეს  
უნდობელ მტერთა ძალადობას და სიბოროტეს.  
გმირი სიცოცხლეს თვისას სწირავს სამშობლოს მზიანს.  
ვაშა გამბედავს, ვაშა სულით მძლავრ ადამიანს!  
გზა ისტორიის გულზე იწერს გმირთა სიმარჯვეს,  
ვაშა და ვაშა! ხალხის გულში მათ გაიმარჯვეს.  
ქებათა-ქება მათი ქვეყნად ჰქუხს, არ დაცხრება.  
მათით რისხვასებრ თავს დაატყდეს მტერს დამარცხება.  
მათთან არიან მტარვალთათვის შიშ-შთამგონები  
მილიონები, თავდადებულთ მილიონები!  
როგორც მაგალითს მსოფლიოსთვის უკვდავ მცნებისთვის,  
იდელისთვის, მშვიდობისთვის და უფლებისთვის,  
თქვენს სიმამაცეს, მეომრებო, დიდება, ქება!  
არტილერია, ტანკისტები, პარტიზანთ წყება,  
ქვეითი ჯარი, მშრომელები სწორედ ამ წამში  
გადადის ახალ შეტევაში, ახალ კამკამში.  
გაიმარჯვებენ გმირნი, რადგან ხიდი იდება —  
დაუძლეველი, გზას გვინათებს ქეშმარიტება!  
კვლავ განვიმსჭვალეთ მოწოდების დიადის ცნობით,  
მეტის სიფხიზლის, სიყვარულის, და ბრძოლის გრძნობით.  
სამშობლოსათვის თავდადების დრონი მეფობენ!  
იგი გვეძახის, ბევრის მოწმე, ბევრის მგონები.  
მოახლოვებულ გამარჯვების დიდებას გრძნობენ  
ადამიანთა პატიოსანთ მილიონები!

\* \* \*



ვენ ლარიბები ვიყავით მეტად,  
თქვენ მეტისმეტად უფრო ძლიერი.  
თქვენ არ დაზოგეთ ხერხი და ძალა,  
ხან ცბიერი და ხან უდიერი.

ჩვენ ბევრი, ძლიერ ბევრი ვიტანჯეთ,  
ბევრჯერ სიკვდილის პირად ვიდექით.  
არ დაგმორჩილდით, ვიბრძოლეთ მარჯვედ,  
თავგანწირულად წინაღიდექით.

ჩვენ ავაშენეთ ქვეყანა ძმობის,  
იგი ეყრდნობა ამ ქვეყნად პირველს  
ხალხთა ძმობისა და მეგობრობის  
ურთიერთ რწმენით ურყევ საძირკველს.

თქვენი ქვეყანა კი ურთიერთი,  
ღრმა სიძულვილის ვულკანზე მდგარი,  
ქანაობს. რბევის მძვინვარე ღმერთი  
არის იმისი ბაირახტარი.

ჩვენ ახლა გაეხდით უფრო მდიდარნი.  
უფრო ძლიერი. თქვენ ეს გაწუხებთ.  
თქვენ ის გაწუხებთ, რომ ჩვენი ჯარი  
თავდადებული სდგას მოპასუხედ.

სიმდიდრეები არა ზღაპრული  
ამბების ათას ერთი ლამისა,  
თქვენ სხვა სიმდიდრით ხართ დაზაფრული,  
ხალხი სხვანაირ დრო და ხანისა.

თქვენ იცით როგორ, რა ძალით სცემენ,  
აქ ჩვენი ნავთის შადრევანები,  
რა უღევია ჩვენი მადანი,  
სპილენძის ბუდე, ოქროს ქანები.

ვით თამაშობენ ძვირფას ფერებით,  
ჩვენი მიწის ქვეშ ძვირფასი ქვები,  
ყოფნა, აღსაფსე ბედნიერებით,  
შრომითა ჩვენთა გამარჯვებები.

აურაცხელი შუქი კუზბასის,  
შუქი ვოლხოვის, დონბასის მხარე,  
უღაბნოს ქვიშად მტევნები ვაზის,  
შუქდაბინდული და მოელვარე.

უზარმაზარი ყვავილი შლილა,  
გიგანტიური ადგას კედარი,  
სად ლამაზია ყოველი დილა,  
სად დარაჯია ჩვენი მხედარი.

მდინარეები, რომ აგავან ზღვებს,  
ოქროთი რომ აქვთ აფსილი ფსკერი,  
ჰაერი, მსგავსი რომ არა აქვთ სხვებს:  
თავისუფლების სუფთა ჰაერი!

რევოლუციის ქარში, გრივალში  
დაბადებული ჩვენი არმია  
გაკაფებული იცავს სამშობლოს,  
და სამშობლო კი ის პლაცდარმია,

რომელსაც მოაქვს კაცობრიობის  
თავისუფლება და გამარჯვება,  
მას სიყვარული, მშობლიური გზით,  
სტალინური გზით სგლა ემარჯვება!

## რასაც სარაცინი წინად...



ასაც ბარბაროსი—წინად,  
რასაც სარაცინი—წინად,  
სიმამაცის საქმედ სთვლიდა  
თუ თავს სთვლიდა სარაცინად—  
რაბლემ მას უწოდა რბევა  
და მკვლელობის მხეცი ჟინი,  
სხვას, რაბლესაც, ისტორიას  
ასე ესმის სარაცინი.  
მხეცი თავს თვლის შეუმცდარად,  
ის „გმირია“, ის „სწორია“,  
და უძველეს სარაცინის  
მეორდება ისტორია.  
ბარბაროსი სისხლის მსმელი  
გონებასთან ჯიბრში მყოფი,  
ასეთია მოსულ მტერის  
მოზმანება ავადმყოფი.  
არ განიბნეს—არ იქნება—  
როგორც ქარის მწარე ძილი  
და ხსოვნაში ზიზღს გარეშე  
არ დარჩება სარაცინი.  
რასაც ბარბაროსი—წინად,  
რასაც სარაცინი—წინად,  
სიმამაცის საქმედ სთვლიდა,  
ჩვენ ვთვლით რბევად და დაცინვად:  
უნდა დაუბირისპირდეს  
მკვლელებს—რისხვა სამყაროსი—  
დეე, ბარბაროსობაში,  
თვით შთაინთქას ბარბაროსი.

## მამულო, სიცოცხლო



იცოცხლო, მამულო! მძაფრი, არა-ფარული  
შვილთა შენთა ხმამალა სთქვან შენი სიყვარული,

სიცოცხლო, სამშობლოვ! მტერი დაუნდობელი,  
რომ თვალს არ გაცილებდა— ვაყავ წინამგრძნობელი.

აი, როგორ მოხდა ეს: ირიქრაჟა თუ არა—  
ალისფერმა სინათლემ ღრუბლებს გადაუარა.

ტყეში, სადაც ვიდოდა ტყის მკათავი მცინარე,  
ველად, სადაც ბაღებში ჩაფლულიყო მდინარე,

იყო დილა მშვიდობის და არ იყო ტკივილი,  
ფრინველების გაისმა სტვენა, ქვილ-ხივილი...

აფრიალდნენ საზღვარზე შავზე-შავი სვავები.  
ყუმბარათმტყორცნელები, მძიმე თვითმფრინავები.

სურთ რომ გადმოანგრიონ ხალხის ნახნავ-ნათესი,  
ქალაქები, სოფლები, გზები უდიადესი.

იგი მტერი ჩვენი და მსოფლიოსი მტერია,  
მაგრამ მის უგონობას ბედი არ უწყერია.

და ამოდ ტანკები იძვრიან ყაჩაღებით,  
ჩვენ მას უძლიერესი ცეცხლით დავეჯახებით!

რა კი მძლავრობს ხალხის ხმა და სტალინის გენია—  
ვიციტ რომ საბოლოო გამარჯვება ჩვენია.

## მასთან ბრძოლა



ოგორა სწოვეს ცოცხალ ბაგეს  
მახრჩობელი იგი ჩრდილი,  
შეუშფოთდა მოქალაქეს  
სიცხადე და ღამის ძილი.

საზიზღარი! მისმა ჩრდილმა  
ღღე დაბინდა. მოსჩანს ზანტი  
უბოლოო კინო-ფილმა, —  
მიხაკისფერ ღღეთა ლანდი.

საწამლავეთ ხელში მოსულს,  
მას სიკვდილი მისდევს მხლებლად,  
ომს აჩადებს ბარბაროსულს,  
ხალხს ეკვეთა საწამებლად.

უნდა გაჰქრეს სიმწრის ფერი,  
მძიმე სულის მძიმე ქროლა.  
ეხლა არის ყველაფერი —  
მასთან ბრძოლა, მხოლოდ ბრძოლა.

## გასტელო.



სეთმა ქარმა დაბერა,  
ქვეყანას რომ არ სმენია,  
ისეთ სიმაგრეს მიაწყდა,  
ზღვიდან ზღვას რომ გასწვდენია.  
მოჰქრის ისეთი ალალი,  
ცას რომ არ გაუჩენია.

გაწითლდა ცა და ხმელეთი,  
ცის კიდეს სისხლი ჰფენია,  
ოკეანემდე მისულა,  
კიდებებს გადადენია,  
გადაულეკავს ნაპირი,  
ყველგან აღმურის მჩენია,  
არასდროს ასეთი ფრენით,  
გასტელო, არ გიფრენია.  
სხვისი შენ არა გინდა რა,  
შენი რაც არის, შენია.  
დაჰქრიხარ კიდი-კიდემდე  
ცას ვარსკვლავები ჰფენია.  
ხედავ: მშობლიურ მწვერვალებს  
შუბლი ცას მიუბჯენია,  
ძირს გაფენილა სამოთხე,  
დახედავ, იგრძნობ: ჩვენია!  
არასდროს ასეთი ფრენით,  
გასტელო, არ გიფრენია.  
მტერი სწყვეტს ბავშვს და მოხუცებს,  
გულს მოედება გენია,  
თავი რად გვინდა ცოცხალი...  
განა ეს მოსათმენია?  
გასწი, გასტელო, შენთვის მზე,  
ვერ დასთვლი, რაოდენია—  
შენს სიკვდილს მოაქვს სიცოცხლე  
და გამარჯვებაც ჩვენია!

ჩ ა ნ ბ ო!



ანგო! ვით წინად, ეხლაც მოველი  
 შენგან ახალ ხმებს. მზეა ცხოველი,  
 საქართველოში, სადაც ნანატრი  
 თავისუფლებით სუნთქავს ყოველი.  
 რა სიცოცხლეა მხარეში, სადაც,  
 ყოველივე წამს—რთულსა თუ სადას  
 დაულაღვი განაგებს ხელი,  
 რათა მოხაზულს გაუსწროს ვადას.  
 რა სიცოცხლეა, შეიგრძნო რომა,  
 აღფრთოვანებად აქცია დრომა  
 მხარე, რომელსაც გაღვივებული  
 აშუქებს შრომა და მხოლოდ შრომა.  
 სხვა ქარი მოჰქრის ქვეყანით; ცბიერ,  
 მონობის უღლით ნაცემით ძლიერ,  
 ფეხზე დამდგარიო და აღდგენილიო,  
 უღიადესი სიმართლის მიერ...  
 სადაც მხატვრული გრძნობა წესია,  
 სად ყველაფერზე უტკბოესია  
 მეცნიერების დიადი გრძნობა,  
 მშვენიერება და პოეზია.  
 ორათეულ წლით (მეტით) რომელიც,  
 თავდადებული, დაუცხრომელი,  
 სხვა რესპუბლიკებს მხარ და მხარ უდგას,  
 როგორც მეგრძოლი, როგორც მშრომელი,  
 აი, ამ მხარეს, სადაც ოდესმე—  
 ერების შუღლმა, უბოროტესმა  
 გააწამა და დაღრღნა ქვეყანა,  
 სანამ სხვა ბრძოლის ხმა არ მოგესმა.



განგრია და ვიწრო საკანი,  
აწ უბოლოო აქვს გასაქანი.  
და გაქანება ხალხის, გენიის,  
მრავალთა ზრუნვის არის საგანი.  
სად ეჯიბრება სართულს სართული,  
სდგას მეომარი ზრუნვით გართული,  
იმისი ენა ქვეყნის ენაა,  
და მშობლიური ენა — ქართული...  
და დღეს, როდესაც მტერი სდგას კარად,  
და თავდაცვისა ტრიალებს ჯარა,  
შენ შეგიძლია რომ არ აქლერდე?  
არასდროს! არა, არა, და არა!

---

ძ მ ე ბ ო



მებო! მტერი ძლიერია—  
ულმობელი—როგორც ზვავი.  
მაგრამ ყოველ ჩვენგანს ძალუძს—  
გამოსცადოს თავის თავი.

ძმებო, მტერი სასტიკია,  
მაგრამ სხვაა ჩვენი წყობა,  
რათა თავის უძლეველი  
გამოსცადოს ნებისყოფა.

ყინულოვან ოკეანით  
შავ ზღვამდე დგას, როგორც ძმობა,  
გრძნობა—დიდი და ტიტანი—  
სამშობლოს დაცვის გრძნობა.

გრძნობა, რაიც სანუგეშოს  
წამებაშიც ჰპოებს ჯილდოს,  
გრძნობა, რასაც ძალუძს მტერი  
დამარცხებით გადაშვილდოს.

დიდი გრძნობა, მტეციცე გრძნობა—  
მიაჩნია უკვდავ შვებად.  
თვით სიკვდილი რომ აქციოს—  
სწორუბოვარ გამარჯვებად.

# დიდობა



იღო არმია! არის შენი მედგარი მხარი  
ჩენი სამშობლო მხარის მარჯვე ხმალი და ფარი!  
მებრძოლმა ჩენის ველის, ჩენის მთისა და გორის,  
დიდმა სტალინმა გვითხრა: კავშირი გულთა შორის!

იყოს ერთისთვის ყველა და ყველასათვის ერთი,  
რომ მიარღვევდეს ბურჟუს გაკაჟებული მკერდი!

ვერავენ დაამარცხოს მგრძნობი მიზანის სწორის,  
მარად ჟამს მზიანია კავშირი გულთა შორის!

კავშირი გულთა შორის, როცა გულს იცნობს გული,  
რაა ამაზე უფრო მშვენიერი და სრული?

გზა გექონდეს გამარჯვების არა ერთის და ორის,  
ყველაფერს გადალახავს კავშირი გულთა შორის.

ძველო ასპინძის ველო, ძველო ციხეო გორის,  
მკერდით გიცავდათ მძლავრი კავშირი გულთა შორის.

მარად სიცოცხლეს უდგა და ისტორიის მღორის  
ამფეთქებელი იყო კავშირი გულთა შორის.

მტერი მტარვალის ტვინის, მტერი მტარვალის ტორის,  
იყო, არის და იქნეს კავშირი გულთა შორის!

უძლეველია ციხე, ბუდე ორბის და ქორის,  
რაიც ააგო დიდმა კავშირმა გულთა შორის.

დიდო არმია! მძლეა ფიცი ტოლის და სწორის,  
კავშირი გულთა შორის! კავშირი გულთა შორის!

## ირაკლის ხმალი



ოველი მხრიდან ბერავდა ქარი,  
 მაგრამ ქართველი ქედს არა ხრიდა.  
 ოდეს სამშობლოს გარს ერტყა ჯარი  
 ყოველი მხრიდან, ყოველი მხრიდან.

და ხმალს მივარდა მეფე ირაკლი  
 და იგი ხმალი ელვასებრ სჭრიდა.  
 ერთს მებრძოლს ასი ეხვია მტერი  
 ყოველი მხრიდან, ყოველი მხრიდან.

ლომო ირაკლი, იბრძოდი ისე,  
 შენს ხმალს არასდროს ბედი არ სცრიდა  
 და გაოცებას იყო მსოფლიო  
 ყოველი მხრიდან, ყოველი მხრიდან.

მრისხანე სტვენა იმა ხმალისა  
 მტერს და მუხანათს შიშის ზარს ჰგვრიდა  
 და ქება ჰქუხდა ირაკლის ხმალის  
 ყოველი მხრიდან, ყოველი მხრიდან.

გამარჯვებული ბრუნდება ჯარი,  
 მზე ელვარებად იფრქვევა ციდან,  
 შენი, სამშობლოვ, შენი, ირაკლი,  
 ყოველი მხრიდან, ყოველი მხრიდან.

## მეზობელი პოეტი



რა გინდა-რა კაცს იმის მეტი!  
არის სიმღერა ქვეყნად ისეთი,  
რომ მიატარებს მარადისობა  
გენიის გზებით მოგიზგიზეთი.

მასში გაშლილა ფიანდაზობა:

სჯერა ძმას ძმობა, სჯერა დას ღობა,  
მის ძარღვებში დულს მღელვარე სისხლი,  
და მარადისი ახალგაზრდობა.

მისი წაქცევა თუ უნდა დემონს,  
თვით მიეცემა სიკვდილის კდემას,  
ფხიზელი, მხნე და ალლომანვილი  
პოეტის გული განაგრძობს ცემას.  
წარვლიან წელნი. მოვა სხვა ხანა,  
და იმ სიმღერით, იმ გმირთა თანა  
იბრძვის, წინ იწევს და ძლიერდება  
ზეშთაგონებით სავსე ქვეყანა.

საუკუნეთა არმომრიდების,  
პოეტი ღირსი არის დიდების.

მიემსახურა კაცობრიობას,

მან მთები დასდგა მარგალიტების;

ხალხი არჩია წმიდათა-წმიდად,

მასში წრფელ გრძნობებს აგზნებდა დიდად,

მან უმაღლესი მისწრაფებანი

გასდო მომავლის გზადა და ხიდად,

დაე, დღე იყოს შიმველ-ტიტველი,

მრავალთა დარდის გულით მზიდველი,

მხოლოდ სიმაართლის აღიარებით

იმარჯვებს ჩანგი მოუსყიდველი.

ის არ უკრთოდა მტარვალთა ყეფას,  
 ის წყვილიადისას ხევდა მეფობას,  
 მედგრად უშიშრად განაცხადებდა  
 ხალხის ჩაგვრას და უუფლებობას.  
 ხალხის რჩეულის ხმა, პოეზია!  
 დასაბამიდან მკვიდრი ფესვია—  
 ის უყვართ, ხალხის სიყვარული კი,  
 ყოველ ჯილდოზე უმაღლესია!  
 გულიდან ნოხეთქს ხმა დაძაბული,  
 და უსმენს ხალხი სულგანაბული,  
 რომ შემდეგ ერთხმად გაიმეოროს,  
 როგორც თავისი ხმა გულდაგული.  
 უბრალო, ნათელ ჰანგთა ბუნება,  
 მარად გარემოს ეხმაურება,  
 მასში ცხოვრება ცოცხალთა ძალთა  
 არასოდეს არ დაიბურება.  
 აქ ჩივის კაცის თრგუნვილი სული,  
 და შებორკილი მისი სხეული,  
 შეგნება ამაყ, უკვდავ უფლებათ,  
 შურისძიებად გადაქცეული.  
 აქ აღტაცება მოისმის ბრძოლის  
 და გამარჯვებულ იმედთა ქროლის,  
 მასშია სული ყოველ ქვეყნიურ  
 სიხარულისა და ფიქრთ მოწოლის.  
 მასში წადილი არის ნათესი  
 და გულის თქმები უღიადესი,  
 მასში ბრწყინვალე ოცნება დაჰქრის,  
 მასში მომავლის არის აღერსი.  
 ხალხთ ბაგეებში მღერა მგზნობელი,  
 სტიქიურ ძალის ხდება მფლობელი,  
 იგი მწვერვალთა ნიაღვრის მსგავსად  
 მოგრგვინავს ლალი და უღმობელი.  
 მოდის მრისხანე ხმათა მომრგავი  
 თავისუფალი, მძაფრი, მბორგავი,  
 მოდის მქუხარე და ბობოქარი,  
 მხნე, მღელვარე და შეუბორკავი.

ცხარე და ფიცხი ჰანგი მთავორის,  
ტალღები სცნობენ ერთიმეორეს,  
გზას მიიკაფავს ძალის-ძალათი  
მრისხანე ხევთა და კლდეთა შორის.  
დაუცხრომელი ღვარი ღვარებად  
ექსტაზით მძაფრად მიეჩქარება.  
ქვებს ეხეთქება და ჩანჩქერებად  
მშობლიურ არეს გადეფარება,  
ასე, სიმღერის მიდის დიდება;  
არ შეიძლება, არ დაიდება  
ზავი; სტიქიამ არ იცის ზავის  
დაშოშმინება და დამშვიდება.  
ასეთი იყო აკაკის ჰანგი,  
არ ეკარება მის მღერას ჰანგი.  
იგი იტაცებს ადამიანთ გულს:  
ავსწიოთ მაღლა პოეტის ჩანგი.

### პირველი მაისი



ა უსავესესი სიალით ბრწყინავს,  
მაისის ნაზი მოდის სურნელი.  
რაც ვარდი ყინვას გადაუყინავს—  
გაზაფხულია მისი მკურნალი.

გაჰქრა ზამთარი გულთ გამყინველი,  
მკვლელი სითბოსი, აღერსის, ფერის...  
ხმოვან სიმღერას მღერის ფრინველი,  
იგი ბუნების აღდგომას მღერის.  
მაისთან ერთად იმღერე, გულო,  
ახალგაზრდობა ჩემის მამულის,  
იმღერე ჰანგი საგაზაფხულო,  
გამოდვიძების და ჟრიამულის.  
იმღერე ველთა აყვავილება,  
იმღერე ტყეთა შრიალის გრძნობა,  
როგორ იზრდება, როგორ იშლება  
ბრძოლის წყურვილი და ნებისყოფა.  
იმღერე კაცთა დიდი მიზანი,  
დიდი კავშირი შრომის, მშვიდობის.  
იმღერე ვარდნი მაისისანი—  
სიყვარულისა და ერთა ძმობის.  
პირველ მაისის საამურ ხმებთან  
ცხოვრობს მსოფლიოს ხმა განუყრელად.  
უკვდავ და დიად გამარჯვებებთან  
მიგვყავს მსოფლიო ჩვენ განუბრელად.  
მივსცეთ მხარი მხარს, მივსცეთ ხელი ხელს;  
დედამიწაზე იმედთა მფენი  
პირველ მაისის აყვავებულ დღეს



მოწოდების ხმა გაისმის ჩვენი—  
 რომ გრძნობა ძველი—ბრძოლით ახალჰყო.  
 საყვარელ იმედს მოეფერები.  
 რომ გაიშალოს ფრონტი სახალხო,  
 რომ საბრძოლველად აღსდგნენ ერები.  
 ერთად წავიდეთ, ძმაო და ტოლო,  
 სოლიდარობა დრომ გაამეფოს.  
 პროლეტარებო! დრო არის ბოლო  
 მოედოს ხალხის ამდენ წამებას.  
 ოქტომბრის გრიგალს რაც შერჩევია  
 კაცობრიობის გზის პატრონობა,  
 ამოდ ხომ არ შეურყევია  
 ათასწლოვანი ჩაგვრა-მონობა?  
 თვალუწვდენელი იმპერიების  
 გზა სისხლიანი გზის ჩასვლის ჟამის,  
 ომის შეტევა-მოგერიების,  
 სიკვდილისა და სიბნელე-ღამის—  
 სივრციდან მალე გამოანათებს  
 დამაბრმავებელ დღის ელვარება,  
 ის თავზარს დასცემს ბნელ მუხანათებს  
 ის გამარჯვებით გაეჩქარება!  
 მთელ მსოფლიოში—„პროლეტარებო  
 ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“—ისმის.  
 ამ სიტყვას სიტყვა არ ედარება,  
 რომ სამაისოდ ართობდეს ვისმეს.  
 ამ სიტყვებშია მომავლის ძალი,  
 შემარყვეველი კიდით-კიდესი,  
 მათში მარადი ფეთქს იდეალი—  
 და იდეალი უუდიდესი!  
 ის ხატებაა სვლის დაუცხრომლის  
 და შეტევების. ხალხი კი ახლა,  
 ოკეანეა, ტალღები რომლის  
 იდეალს სწევენ მაღლა, სულ მაღლა!  
 არვის არ ძალუძს რომ ჩვენი აზრი  
 სავანეს მისცეს ბნელს, უსადგუროს,  
 არვის არ ძალუძს რომ ჩვენი ბასრი  
 სიტყვა, მძლე სიტყვა გაანადგუროს!

ტერორს სისხლიანს არა აქვს ეშხი  
ჩააქროს გულთა ღელვა მრისხანე.  
არვის არ ძალუძს საპყრობილეში  
რომ მოათავსოს ის ოკეანე.  
მძლავრო ტალღებო, სვლა გაახეღეთ!  
ხომალდს—კაპიტალს დაეჯახენით!  
თავისუფლების უკვდავ სახელით,  
სამართლიან მზის უკვდავ სახელით  
ამ მაისის დღეს, ამ მშენიერ დღეს,  
გაისმის ჩვენი ხმა მოწოდების—  
ერთის დროშის ქვეშ რათა შეერთდეს  
პროლეტარები—ქვეყნის ყოველის.

---

\* \* \*



მს სურს შესცვალოს ზეცა კრიალა:  
ის იქ ცეცხლოვან ფრთებით ფრიალებს,  
მისთვის ტოტმა არ გაიწკრიალა,  
მისთვის არასდროს ტყე არ შრიალებს.

სხვა არის მისთვის კალთები მწვანე.  
ლაქვარდი მთების ფარჩა და ჩითი,  
ხავერდოვანი ზღვა-ოკეანე  
მისთვის არასდროს არ არის მშვიდი.  
გაზაფხულის მზის სიუხვე—სითბო  
იხშობა ომის ელვა-კაშკაშში,  
სიმწარე, არა შვება და სიტკბო,  
სურს ღრმად ჩანერგოს დედამიწაში.  
არ სურს სიცოცხლე სჩქეფდეს და დულდეს,  
არ სურს — სიცოცხლე ალერსით სწვავდეს,  
დეე, ის სისხლად გადაჩუხჩუხდეს,  
მიადგეს უფსკრულს და გადაზღვავდეს!  
თუ მზე მიდამოს ციდან ასხამდა  
შეუწელებელ, მაგიურ ძალას,  
არსებას ყოველს ფრთებს შეასხამდა —  
ომი იმ ფრთებს სჭრის ლაქვარდს, კრიალას.  
ჩაწვეს მიწაში ყვავილთა ჯარი;  
ახალგაზრდობა ფერად-ღერება;  
მისთვის დანდობა არის ზღაპარი,  
მისთვის სიკვდილის ჰქუხს ამღერება.  
მშვენიერ ფერთა ჩაჰკვდეს დიდება,  
აზრის მიყუჩდეს მკვიდრი დინება,  
კრემლით სურს მოთვალმარგალიტება,  
წყვდიადით წყურის გამობრწყინება.  
ისმის ზუზუნი დაუღალავი,  
უანგარიშო და უღვეელი:

იქიდან გაჩნდა ეს უთვალავი  
 ფუტკარი, სად დგას ტყვიამფრქვეველი!  
 ხმაურში—ჰაერს რომ მოსდებია  
 თვითმფრინავების ურიცხვი ჯარის,  
 ტანკთან—ერცელ გზას რომ შეტოტებია—  
 იქაც კი, სადაც გზა სულ არ არის—  
 ჩვენთვის სიცოცხლე ყველაფერს ნიშნავს,  
 ჩვენთვის გულია ყველგან ფარული.  
 მზე და სიცოცხლე ვის გაუთიშავს  
 დასაბამიდან გზამოხარული?  
 ორივე სიმძლით მოტივტივეა—  
 კაცთ სამღერეღად შექმნილი ქნარად,  
 ორივე ერთი და იგივეა—  
 ორივე გვიყვარს მარად და მარად!  
 მაგრამ ჩვენ დაფთვობთ სიცოცხლეს ასე,  
 როს სამშობლოზე ზრუნვა იწყება—  
 ჩვენის სიმართლით მიმავალ გზაზე  
 წვიმა, თოვლია თუ ასიცხება—  
 წინაღუდგება მართალი ჯარი  
 ხალხთ დასარბევად მოსულ ვერაგებს,  
 მიეც თავდაცვას სუნთქვა მედგარი,  
 ეინა სთქვა, რომ ის პასუხს ვერ აგებს?  
 ტყვიამფრქვევეები ააქაბჭახე  
 მეტი ჭურვებით, მეტი ვაზნებით.  
 მტერი თავზედი კლდეს შეაჯახე  
 შაშხანებით და თოფზარბაზნებით.  
 და თუ ბრძოლაში მგზნებარედ ერცელი  
 განვლიოს გმირმა გზა საამსოფლო—  
 სიკვდილის წინაც უკანასკნელი  
 მისი იქნება სიტყვა: სამშობლო!

\* \* \*



სამშობლოს გზას მრავალფერს,  
შარაა თუ ვიადუკი—  
გამარჯვებებს თანაბრად სწერს:  
თმაქალარა და ქაბუკი.

მოხუცი არ გულმავიწყობს,  
ახალგაზრდას ძალა სწვდება—  
და ორთავეს სურს დაიწყოს  
ერთმანეთთან შეჯიბრება.

მოხუცს ქული წარბზე ხურავს,  
ახალგაზრდას ცოტა გვერდათ,  
მაგრამ კედლებს და სახურავს  
თავს ევლება ორივე ერთად.

სამშობლოს გზას მრავალფერს,  
შარაა თუ ვიადუკი—  
გამარჯვებებს თანაბრად სწერს  
თმაქალარა და ქაბუკი.

\* \* \*



ამშობლოს წინსვლა  
გასაკვირველი,  
ეზის მხურვალეობა  
გარს რომ ავლია,

აი პირველი!  
აი პირველი—

რის სიყვარულიც  
მე მისწავლია.

შენს გამარჯვებას  
ჩანგო, მოველი!

ოჰ, შენთან დღენი  
ჩემნი წარვლიან,

მედგარი ბრძოლა!

აი ყოველი,  
რის სიყვარულიც  
მე მისწავლია.

ბავშვი ძვირფასი  
ლექსების კონებს:

რა სიუხვეა!  
რა სიმრავლეა!

გადამასწავლოს—  
ნურავეინ ჰგონებს—

რის სიყვარულიც  
მე მისწავლია!

## ჩვენ, პოეტები საქართველოსი



ულში იმავე გრძნობით ბრუნდება  
და მოლოდინი დარეკავს ჩუმი,  
რომ არა ერთხელ აგუგუნდება  
დედამიწაზე კიდევ სამუმი.

აჰ, ქიმიური ომების წყება

სოფელში, მინდვრად, ქალაქში, ტყეში,  
ახალი ლპობა ჰოსპიტალების,  
ახალი ცრემლის დვარი და თქეში.

იქ, ტრანშეების ლაბირინტებში,  
ნუ გაგიტაცებს ძველი წუხილი,  
ხევიდან ხევზე იკივლებს მეხი,  
ხევიდან ხევზე წავა ქუხილი.

გიგანტიური მუხლუხო — ტანკა  
და შეუწყვეტი ტყვიის ფანტელი...  
პროექტორებმა ჰაერში იგრძნეს  
ჰაეროების კორიანტელი.

წამოვა მღვრიე ცეცხლის ნიაღვრად  
ასსანტიმეტრის მკაცრი სახელი,  
ხევიდან ხევზე გადიგრაილებს  
ხევიდან ხევის გამოძახილი.

გააფთრებული ომის გენია,  
ძველი ჟანგივით ყვითელი ფერის,  
გადეფარება მეწამულ ზეცას,  
რომ მოიტანოს დღე მწარე წერის.

ვართ პოეტები საქართველოსი,  
რომელთაც გვახსოვს დღე უარესი,  
ჩვენ ახლა ვიცით სად დადგებიან  
კლოდელი, ჟამში, სიუარესი.

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია  
და სისხლიანი დგას ანგელოსი,  
ახალ გრიგალებს ვსწირავთ სიცოცხლეს  
ჩვენ, პოეტები საქართველოსი...

\* \* \*



წმენით იარ, იარ, იარ! მტკიცე გქონდეს ბიჯი:  
ყოველ ნიჭზე ძლიერია ქვეყნის დაცვის ნიჭი!

\*

ასე იყო და ასეა ბრძოლა ჩვენი მიწის:  
რწმენა ბევრად ძვირფასია: მან გატანა იცის!

\*

ურყეველი რწმენის მტერი, გზას ვერა-რით აგნებს!  
როს სხვადასხვა გზით უცქერის ათასნაირ საგნებს,  
საგანიც ფერს მისთვის ხშირად იცვლის იმისგვარად  
როგორ ხედავ, რანაირად, რომელ მხრიდან და რად.

\*

მაგრამ გრძნობათ სიმაისევე, ფიქრო ნათელ ფრენის,  
თუ მონა ხარ, — მონა ისევე საკუთარი რწმენის!

—————



## ქალაქი წყალკვეთ



ელვის დროს გენზე „ტეოდორ ნეტე“  
ანძები დატყდნენ, როგორც მწვილდები,  
ფიქრებს მორევში რაც უნდა ჰკეტდე,  
ერთს მათგანს მაინც ვერ მოსცილდები.

რომ დააყარა ქარმა ფაფარი  
უზარმაზარი გორების ეტლებს,  
პოხეიდონის ძველი ზღაპარი  
ეხეთქებოდა ფოლადის კედლებს.  
ასფუთიანი ჩაქუჩის ცემით  
ცა ჩემზე ცდიდა ძალთა მოკრებას,  
მან დაამსგავსა მგზავრობა ჩემი  
ცხოვრების ჩემის აბობოქრებას.  
გადმოანგრეე შენი ზვირთები,  
რომ მხარეებმა მხარეს გაასწროს...  
იქუხე, გასწყრი, არ ავტირდები,  
არც შებრალებას ვითხოვ არასდროს!  
მე სხვანაირად ზვირთი მოვსახე,  
მზემ ჩემკენ შუქი რა მოიღერა,  
ბოლოს ხომ მაინც მე შემოვსძახე  
გამარჯვებული ბრძოლის სიმღერა.  
როგორ? მე ვქმნიდი იმედებს განგებ  
და მისთვის მსურდა ვარდების ფენა,  
მისთვის ვფერავდი მრავალჯერ ჩანგებს,  
რომ მხოლოდ მტრისთვის დამეტკობო სმენა?  
არა და არა! მრავალი სტანჯა,  
მრავალს დაუფრთხო სიმწვიდის ძილი,  
ლექსი ყოველთვის იყო ხანჯალი,

ლექსი მტრებისთვის იყო სიკვდილი.  
ნოვხვდათ? იგრძენით? შევატრიალე  
თუ არა ნისლში მყოფი ბორბალი?  
იყო თუ არა ქექა-ქუხილი,  
ჩვენი დღეების ცა ნაქორფალი?  
ო, შავო ზღვაო! ასწიე გემი,  
შუქი დაენტოს ქაფთა მოკრებას!  
დაე, კვლავ გავდეს მგზავრობა ჩემი  
ცხოვრების ჩემის აბოზოქრებას!  
მაგრამ შორს ლურჯი გამოჩნდა მთები,  
ეხლა იქ მყუდრო ნავთსადგურია,  
წყალში შთასული არის მითები  
და ძველისძველი დიოსკურია.  
ნავთსადგურიდან თავდება ხაზი,  
ერთ დროს აქ იდგა მრავალ-მრავალი  
სხვა წინაპარი ჩემი, აფხაზი,  
უძველეს დროის შთამომავალი.  
გენიალური, უკვდავი თემა!  
პოეტებს, მსხვერპლებს ტლანქი ფურიის,  
მე შემძლია მივსცე პოემა,  
პოემა ახალ დიოსკურიის.  
მასში ცხოვრება ღვივის მედგარი,  
უნდა ჩაეშვა ზღვაში მსახავად.  
დახარბდებოდა თვითონ ედგარი  
იმ იდუმალი გზის სანახავად.  
ზღვის ფსკერზე ეხლაც მეზღვაურები  
ძველ კედლებისას ჰპოებენ ხეაგებს,  
ამოაქვთ ოქრო აუარება  
და საგანძურით ავსებენ ნაგებს.  
ქალაქი წყალქვეშ მძინარი მხარის!  
როს შეღამდება ნაცრისფრად ასე,  
მაგრამ სინათლე ჯერ კიდევ არის  
და აღმაცერად იშლება ზღვაზე —  
ნაპირებიდან კავკასიონის  
მთებამდე მოსავს ბინდები შავი,  
მაშინ მძინარე პონტიის დონეს  
მე მიმაქანებს ფარული ნავი.  
ზღვის ფრინველების გამყივარ ხმაში  
თითქო სხვა მესმის იდუმალება,

ილიუზია! ჩვენება! მასში  
სულ ახლო, ახლო რომ იმალება.  
თითქო ეს ხმები ეკუთვნის არა  
მხოლოდ და მხოლოდ ფრინველთ გვიანებს,  
მათში წყალქვეშა გუგუნებს ზარა  
და ხმა ეკუთვნის ადამიანებს.  
მიუყურადებ: ისევ და ისევ  
განმეორდება ხმა უცნაური,  
ის იღუმალის ქალაქი სფინქსი  
მეძახის უცნობ აურზაურით.  
ვგრძნობ: თითქო ფსკერზე ვეშვები ცურვით,  
ხელით ვეხები წყალქვეშა თხემებს,  
წყალში დამარხულს ვიგრძნობ მომდღურვით  
ნანგრევებს, ლანდებს, იდეებს, სქემებს.  
აქ დაფარულა მთელი კრებული  
და სიბნელეში ელავს თვალეები,  
ის ძველთაძველი შთამომავალი,  
ის უძველესი ფეოდალები.  
მათი ვერა გრძნობს ფიქრი და ბაგე,  
რომ მცხეთის ახლო ახალ ნათებით  
ელექტრონების გაჩნდა ქალაქი  
ათასეული კილოვატებით.  
იყო ქალაქი, იყო საგანი —  
ოდესმე მძლავრი და ალიერი,  
ახლა ცივია გზა შინაგანი  
და იღუმალის სიცილიერე...  
„ტეოდორ ნეტე“ ახლა ისვენებს  
და ფრინველების დაცხრა გუნდები.  
მშვიდობით! ხსოვნათ დაკარგულ ფენებს  
არასდროს აღარ დაუბრუნდები.

\* \* \*



ე, მამულო! გრძნობა შენი მოვლისა  
მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია.  
სანამ გმირმა შენთვის სული დალია —  
სთქვა: „სამშობლო უპირველეს ყოვლისა“!

\*

არმოშიშარს ქარისა და თოვლისა,  
ყოველ ჩვენგანს ურყევ მიზნად ექნება  
მხოლოდ შენთვის თავდადების შეგნება:  
მამულს გული! — უპირველეს ყოვლისა!

\*

მზე ჩაჰქრება ყველა სისხლისმწოვლისა,  
მზე ამოვა ყველა დაჩაგრულისა,  
წამლად იქნას ყოველ დაჭრილ გულისა  
გამარჯვება — უპირველეს ყოვლისა!

\*

დე, ბრწყინავდეს დროშად თვითოულისა  
საქართველოს მკერდი ო. ადენოსანი,  
მისი მიწა, მისი მზე სხივოსანი, —  
ის გვიყვარდეს უპირველეს ყოვლისა!

\* \* \*



ცნებაო ჩემო ძველო,  
ვართ ღამეთა მთეველი,  
ბევრი, ბევრი სადღეგრძელო  
დაგვრჩა დაუღვევლი.

სადღეგრძელო იყოს მისი,  
ვინც შიშმა ვერ დაჰხარა.  
ვიდგეთ ფეხზე. ჩვენ ტფილისი  
ვადღეგრძელოთ ჭალარა!

აქ სიცოცხლე და ხალისი  
ვის სხვად არ ესვენება —  
სადღეგრძელო იყოს მისი  
და დიდებით ხსენება.

მოდითა ერთზე ასი —  
გზა გვშვენოდა დიდების —  
ჩვენ დავსცალოთ ყველამ თასი  
ბედთან არღწრიდების!

\* \* \*



რომით ისევ აღდგენილი, თვალუწვდენი მინდორ-  
ველი,  
შენი დიდი სიხარული და შეენება შეუცვლელი,  
შენი ხევი და გორები, შენი მთა და შენი სერი —  
იყოს მრავალ, მუდამ მრავალ, კიდევ მრავალ  
ჯამიერი.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვ.
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი . . . . .	3
მშობლიური ჩემო მიწაე . . . . .	4
მთის გულისცემა . . . . .	9
გმირს გაუმარჯოს . . . . .	11
ჩვენ გავიმარჯვებთ . . . . .	15
ელგუჯას დაბრუნება . . . . .	17
მშობლიური მოწოდებით . . . . .	22
თავდადებული მილიონები . . . . .	24
ჩვენ ლარიბები ვიყავით მეტად . . . . .	26
რასაც სარაციანი წინ დ . . . . .	28
მამულა, სიცოცხლეო . . . . .	29
მასთან ბრძოლა . . . . .	30
გასტელა . . . . .	31
ჩანგო! . . . . .	32
ძმებო . . . . .	34
დიდი არმია . . . . .	35
ირაკლის ხმალი . . . . .	36
მებრძოლი პოეტი . . . . .	37
პირველი მაისი . . . . .	40
ომს სურს შესცვალოს ზეცა კრიალა . . . . .	43
სამშობლოს გზას მრავალფერს . . . . .	45
სამშობლოს წინსვლა . . . . .	46
ჩვენ, პოეტები საქართველოსი . . . . .	47
რწმენით იარ . . . . .	48
ქალაქი წყალქვეშ . . . . .	49
ჰე, მამულა! გრძნობა შენი მოვლისა . . . . .	52
ოცნებათ ჩემო ძველო . . . . .	53
შრომით ისევ აღდგენილი . . . . .	54

რედაქტორი ირ. აბაშიძე

---

ხელმოწერილია დასაბეჭდათ 11/11—1943. შევ. № 3067 უფ 1445  
ტირაჟი 3000.

---

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, ქ. თბილისი, ყარესის ქ. № 5.



